## კლასგარეშე აქტივობები

| ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ | ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲔᲑᲘ |
|---|---|
| ● მეტი მოსწავლის ჩართვა კლასგარეშე პროექტებსა და აქტივობებში | ✔ მოსწავლეების მიერ სხვადასხვა აქტივობებში თანატოლების ჩართვის წახალისება მაგ., მოსაზრებების მოკვლევა, მოსწავლეების საჭიროებებთან დაკავშირებულ პროექტებში ჩართვა |
| ● საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან მოსწავლეთა ურთიერთობის ხელშეწყობა | ✔ საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კავშირის დასამყარებლად მოსწავლეთა თვითმმართველობის დახმარება |
| ● მოსწავლეების მიერ ცვლილებების გატარების შესაძლებლობაში მათი თვითდაჯერებულობის ამაღლება | ✔ სკოლაში და სკოლის მიღმა არსებულ შესაბამის გავლენიან პირებთან აქტივობების დაკავშირება მაგ., მოსწავლეთა თვითმმართველობას, პედაგოგთა საბჭოებს, სკოლის ხელმძღვანელობას, ადგილობრივ მთავრობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სოციალური მედიის ინფლუენსერებს და ა.შ. |
| ● მოსწავლეთა თვითმმართველობის ყველა ორგანოს უზრუნველყოფა კეთილგანწყობილი ზრდასრულის დახმარებით | ✔ მოსწავლეთა წარმომადგენლების მიერ ექსპერტულ რჩევასა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე რეგულარული წვდომის უზრუნველსაყოფად გზების მოძიება |
| ● კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობის ციფრული ფორმების მეტად გამოყენება | ✔ მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა ახალი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება |

## პროფესიული განვითარება

| ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ | ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲔᲑᲘ |
|---|---|
| ● სკოლის დირექტორთა ხელშეწყობა მოსწავლეთა მონაწილეობასთან დაკავშირებით საერთო სასკოლო მიდგომის დანერგვაში | ✔ მოსწავლეთა მონაწილეობასთან საერთო სასკოლო მიდგომის დანერგვის შესახებ ტრენინგის შემუშავება და ჩატარება |
| ● მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის მეტი შესაძლებლობის შექმნა | ✔ საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლეთა ჩასართავად პრაქტიკული სტრატეგიების იდენტიფიცირება |
| ● მასწავლებელთა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოსწავლეთა მონაწილეობის მოთხოვნების საკლასო პრაქტიკაში გადმოტანაში დახმარება | ✔ მოსწავლეთა მონაწილეობის საკლასო სტრატეგიების შემუშავება და გავრცელება |
| ● მოსწავლეთა მონაწილეობის გასაზრდელად ციფრული მედია საშუალებების გამოყენება | ✔ თემაზე - ციფრული მედია საშუალებების გამოყენება მოსწავლეთა მონაწილეობის გასაზრდელად. ტრენინგის შემუშავება და ჩატარება |

ანგარიში წარმოადგენს საქართველოში დემოკრატიული მოქალაქეობისა და დემოკრატიული სკოლის მმართველობის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგებს.

*ანგარიში მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის „დემოკრატია იწყება სკოლაში-მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში“ ფარგლებში, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.*
*ამ ბროშურაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ევროპის საბჭოსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მოსაზრებებს.*

KAT

www.coe.int
www.coe.ge

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE



# ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲨᲘ

## კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

## სასკოლო კლიმატი

| ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ | ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲔᲑᲘ |
|---|---|
| ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა | ✔ პირადი უსაფრთხოების დაცვისა და ბულინგის საწინააღმდეგო ინიციატივებში მოსწავლეების ჩართვა:<br>➡ სკოლის ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის შემუშავება<br>➡ მოსწავლეთა თვითმმართველობის უსაფრთხოების კომიტეტის შექმნა<br>➡ სასკოლო კამპანია კიბერბულინგზე<br>➡ თანატოლებთან მედიაცია |
| მშობლების სასკოლო ცხოვრებაში მეტი ჩართულობის მხარდაჭერა | ✔ მშობელთა ასოციაციის დაფუძნება: სკოლის საბჭოსთვის უკუკავშირის მიწოდება, საქველმოქმედო ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება-ჩატარება<br>✔ მშობელთა სიის განსაზღვრა, რომლებსაც შეუძლიათ სხვადასხვა სასკოლო საგნის სწავლებაში წვლილის შეტანა |
| სასკოლო პოლიტიკაში მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის მხარდაჭერა | ✔ „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტში“ მოსწავლეთა მონაწილეობის პოზიტიური მხარდაჭერის გათვალისწინება |

## სკოლის ლიდერები

| ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ | ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲔᲑᲘ |
|---|---|
| სკოლის ხელმძღვანელობის მიერ მოსწავლეთა მონაწილეობის მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფა | ✔ სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების ფარგლებში, სკოლის დირექტორების მიერ მოსწავლეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ანგარიშის წარდგენის ვალდებულება |
| სკოლაში თანამშრომლობითი ლიდერობის ფორმების ხელშეწყობა | ✔ გაზიარებული ლიდერობის პრინციპების და მათი დანერგვის პრაქტიკული სტრატეგიების შესახებ სკოლის დირექტორების ინფორმირება |
| უფრო აქტიური სკოლის სამეურვეო საბჭოების და მოსწავლეთა თვითმმართველობების ჩამოყალიბებისთვის სკოლის დირექტორთა მოტივირება | ✔ სკოლის ლიდერებს, სკოლის სამეურვეო საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობებს შორის რეგულარული კომუნიკაციის მექანიზმების შექმნა |
| სკოლის დირექტორთა ფუნქციებში სკოლის მმართველობის უფრო დემოკრატიულ მიდგომის გაძლიერება | ✔ სკოლის დემოკრატიული მმართველობის მიდგომა კანონმდებლობით მეტად გამყარება. მაგ: დაემატოს ზოგადი განათლების შესახებ კანონში საჯარო სკოლის დირექტორის ფუნქციებს (მუხლი 43) |

## სკოლის საბჭო

| ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ | ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲔᲑᲘ |
|---|---|
| სკოლის სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხების წამოჭრა | ✔ სკოლის საბჭოს შეხვედრებზე სკოლის დირექტორთა მიერ მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ მოხსენების წარდგენა |
| სკოლის სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენლობისათვის მეტი მნიშვნელობის მინიჭება | ✔ სკოლის სამეურვეო საბჭოზე მოსწავლეთა წარმომადგენლის როლის გაზრდა |
| მოსწავლეთა წარმომადგენლების ამომრჩევლისადმი ანგარიშვალდებულების გაზრდა | ✔ სკოლის სამეურვეო საბჭოს შეხვედრებამდე მოსწავლეთა წარმომადგენლის მიერ სკოლის მოსწავლეებთან კონსულტაციის გამართვა |
| სკოლის სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენლობის გაზრდა | ✔ სკოლის საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენლების რაოდენობის გაზრდა |

## მოსწავლეთა თვითმმართველობა

| ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ | ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲔᲑᲘ |
|---|---|
| მოსწავლეთა თვითმმართველობაში მონაწილეობის მისაღებად მეტი ახალგაზრდის მოტივირება | ✔ მოსწავლეთა წარმომადგენლების თვითმმართველობისა და მოსწავლეების სკოლის მმართველობაში მონაწილეობის უფლების შესახებ თანატოლთა ინფორმირებაში ჩართვა |
| მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების ანგარიშვალდებულების გაზრდა | ✔ მოსწავლეთა წარმომადგენლებსა და მათ ამომრჩეველ მოსწავლეებს შორის მუდმივ კომუნიკაციის წახალისება |
| საზოგადოებრივ, საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა | ✔ მოსწავლეთა თვითმმართველობის შესაბამის საზოგადოებრივ, საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებაში ხელშეწყობა |
| მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის, როგორც სკოლაში ასევე მის ფარგლებს გარეთ, მეტი მნიშვნელობისა მინიჭება | ✔ მოსწავლეთა თვითმმართველობის სამუშაო მეთოდების და პროცედურების ფორმალიზება, მაგ., წერილობითი წესდება ფუნქცია-მოვალეობები, რეგულარული შეხვედრების მოდელი |
| სოფლის პატარა თუ ქალაქის დიდი სკოლების მიერ მოსწავლეებისთვის თვითმმართველობის სარგებელზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | ✔ მოსწავლეთა თვითმმართველობის ისეთი ფორმების შემუშავება, რომლებიც მისაღებია როგორც დიდი ასევე პატარა სკოლებისთვის |
| მოსწავლეთა ონლაინ თვითმმართველობის ფორმების შემუშავება როგორც სკოლაში, ისე სკოლებს შორის | ✔ მოსწავლეების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თვითმმართველობის აქტივობებში ონლაინ მონაწილეობისთვის, თვითმმართველობის ონლაინ პლატფორმის ან აპლიკაციის შექმნა |

## კურიკულუმი

| ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ | ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲔᲑᲘ |
|---|---|
| სკოლის კურიკულუმების დაგეგმვასა და შემუშავებაში მოსწავლეთა მოსაზრების გათვალისწინების წახალისება | ✔ სკოლის კურიკულუმების დაგეგმვასა და შემუშავებაში მოსწავლეების ჩასართავად, მასწავლებლების და სკოლის ლიდერების პრაქტიკული სტრატეგიებით აღჭურვა |
| ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებსა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შორის კავშირის გაძლიერება | ✔ მასწავლებლებისთვის დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებთან საგნობრივი კავშირების მაგალითების და პრაქტიკული სტრატეგიების გაზიარება მაგ. მოკლე სიტუაციური შემთხვევების ნაკრები |

## სწავლა და სწავლება

| ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ | ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲔᲑᲘ |
|---|---|
| მოსწავლეების მიერ სწავლების პროცესზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით მასწავლებლების გაძლიერება | ✔ სწავლის პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდის პრაქტიკული სტრატეგიების სახელმძღვანელოს შემუშავება |
| მასწავლებლებისთვის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მოდელების შეთავაზება | ✔ სხვადასხვა საგანში გამოყენებადი, პროექტზე დაფუძნებული სწავლების მოდელების შეთავაზება |
| მასწავლებელთა დახმარება სწავლების პროცესში სხვადასხვა ციფრული მედია საშუალებების ინტეგრირებაში | ✔ მოსწავლეთა „ანალიტიკური ცენტრი“ ჩამოყალიბება და სხვადასხვა საგანში სოციალური მედიის სასწავლო ინსტრუმენტის სახით გამოყენების შესაძლებელობების იდენტიფიცირება |

## მოქალაქეობრივი განათლება

| ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ | ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲔᲑᲘ |
|---|---|
| ეფექტური მონაწილეობისთვის მოსწავლეთათვის საჭირო უნარების სწავლება | ✔ სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა საჭირო პრაქტიკული სტრატეგიებითა და რესურსებით აღჭურვა. |
| მოსწავლეთა მონაწილეობის შედეგად მიღებულ გამოცდილების კრიტიკული ანალიზი | ✔ დებრიფინგის სხვადასხვა ტექნიკით მასწავლებლების აღჭურვა. |